

შპს "ანთ გრუპი"

ს.კ.448403479

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერის

მდგომარეობით

ს/კ 448403479

დირექტორი: _____ /ზ. ანთაძე/



შპს ანთ გრუპის

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ჯამით სახსრები და მათი ეკვივალენტები	128998	191210	702410
სავაჭროდ სხვა მოთხოვნები	406520	606410	449829
სხვა პირებზე ავანსებად სესხებად გაცემულ ჯამით სახსრები	975	3944	5170
მარგები	361474	481275	518512
მზ პრედუქცია	361474	481275	518512
სხვა	0	0	0
საინვესტიციოქონება	0	0	0
სხვა მოგვადანი აქტივები	39123	5967	42960
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოფლთ	0	0	0
გადაფასების მოფლთ	0	0	0
გუფილ	0	0	0
სხვა არმატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითად საშუალებები	880564	998892	1159756
ინვესტიციები შვილობილკომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადანი აქტივები	0	0	0
სულაქტივები	1817654	2287698	2878637

ვალდებულებები

საიჯაროვალდებულება	0	0	0
სავაჭროვალდებულებები	48141	266936	405950
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	800	2800
საგადასახადვალდებულებები	0	0	57716
გამოწმწავებელ შემოსავალ	0	0	0
მოგვადანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადანი ნასესხები სახსრები	1175661	1724954	1621110
მიღებულ გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	9709	500857
სულავალდებულებები	1223802	2002399	2588433

საკუთარი კაპიტალი

სააქციოკაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოპერატორის შემთხვევაში 'საპაიოკაპიტალი')	0	0	0
საემისიოშემოსავალ	0	0	0
გამოსყიდულ საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელ მოგება / (დაგროვილ ზარალ)	593852	285299	290204
გადაფასების რეზერვი	0	0	0

შპს "ანთ გრუპი"

ფინანსური ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულსაკუთარი კაპიტალი	593852	285299	290204
სულსაკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1817654	2287698	2878637
სულმოღწევა დანი აქტივები	937090	1288806	1718881
სულმოღწევა დანი ვალდებულებები	0	0	0

შპს ანთ გრუპის დირექტორი:



ზ.ანთაძე

2021 წლის საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
----------------------	------------	------------

ს/კ 448403479

დირექტორი:



ზ.ანთაძე/

შპს ანთ გრუპის

შპს "ანთ გრუპი"

ფინანსური ანგარიშგება

ნეტომონაგები	2983385	5032580
საქონლს გაყიდვიდან	2983385	5032580
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2238122	-4042304
საწყისი მარგები	0	0
მარგების შესყიდვა	0	0
გადმუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარგები	0	0
საერთომოგება	745263	990276
სხვა საოპერაციო შემოსავალ	0	60752
დასაქმებულთა ანაზღაურება	-151165	-143368
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-124380	-163284
საპროცენტო შემოსავალ	0	0
საპროცენტო ხარჯი	-59681	-50003
იჯარის ხარჯი	-8716	0
ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯი	-251910	-699278
სულ საოპერაციო ხარჯები	-595852	-995181
საოპერაციო მოგება	149411	-4905

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დნაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრებიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებულ დივიდენდები	0	0
სხვა არაოპერაციო შემოსავალ / (ხარჯი)	214142	0
მოგება / (ზარალ) მოგების გადასახადს ხარჯდმელ განგრძობითი ოპერაციებიდან	363553	-4905
მოგების გადასახადს ხარჯი	0	0
საანგარიშგებოპერიოდის მოგება / ზარალ	363553	-4905

სხვა სრულ შემოსავალ / (ზარალ):

ძირითად საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილ ეროვნული და მეკავშირე საწარმოების ურთიერთობების გადაფასების რეზერვი და დღენილგადასახდელანი პროგრამები)	0	0
სხვა სრულ შემოსავალ / (ზარალ), სულ	0	0
მიღწილი სრულ შემოსავალ / (ზარალ)	363553	-4905
საკუთარი კაპიტალ საანგარიშგებოპერიოდის დასაწყისში	285299	290204
ახალ აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალს გაზრდა', კოპერაციის შემთხვევაში 'საკაპიტალს გაზრდა')	0	0

ს/კ 448403479

დირექტორი:  /ზ.ანთაძე/

შპს ანთ გრუპის

შპს "ანთ გრუპი"

ფინანსური ანგარიშგება

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-55000	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალს სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	593852	285299

შპს ანთ გრუპი დირექტორი:



ზ. ანთაძე

ფულად სახსრების მოძრაობა

ფულად სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
--------------------------	------------	------------

ს/კ 448403479

დირექტორი:



/ზ. ანთაძე/

შპს ანთ გრუპის

შპს "ანთ გრუპი"

ფინანსური ანგარიშგება

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილ (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ფულ და ნაკადები	-62212	0
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილ (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ფულ და ნაკადები	0	-511200
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ფულ და ნაკადები	0	0
ფულ და სახსრების შემოსვლ (გასვლ)	-62212	-511200
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულ და სახსრებსა და მათეკვივალენტებზე	0	0
ფულ და სახსრები და მათ ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდს დასაწყისში	191210	702410
ფულ და სახსრები და მათ ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდს ბოლოს	128998	191210

შპს ანთ გრუპის დირექტორი:



ზ.ანთაძე

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

ს/კ 448403479

დირექტორი:  /ზ.ანთაძე/

შპს ანთ გრუპის

შპს „ანთ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ანთ გრუპი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი დაფუძნდა საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად. იურიდიული მისამართია: საქართველო, ხელვაჩაური ს.ფერია, ხოლო ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.ბათუმი, ბაგრატიონის 97/99. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 448403479.

კომპანიის დამფუძნებელი 2017 წლის 25 აპრილისათვის და 100% წილის მფლობელი არის ზაზა ანთაძე 61006034836.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების და ნაწილების წარმოება.

საზოგადოებას ასევე აქვს სხვა საქმიანობები, კერძოდ-სამშენებლო მასალებით საბითუმო ვაჭრობა და საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადიაანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. წლის ბოლოს კონვერტაციის დროს წარმოქმნილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს-ფას სტანდარტის შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს საანგარიშო წელს 1 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 01.01.2017 წელი

3. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ს/კ 448403479

დირექტორი



/ზ.ანთაძე/

შპს ანთ გრუპის

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში

წინამდებარე ანგარიშგების მომზადებისას გათვალისწინებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების უნარიც.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა თუ, როგორ განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

5. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

6. ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი ოპერაციები, რომელმაც შესაძლებელია მიაწოდოს დამატებით ინფორმაცია საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ მისი არსებობა არის მნიშვნელოვანი.

7. ფინანსური აქტივები



ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით, შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები, მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე.

8. ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად.

აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შემოზღუდვის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემოზღუდვის თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების

გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

9. ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად დადაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება;
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელიან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით.

10. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

11. ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი დახარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ანდა იშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტთან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი დახარჯები.

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ



შპს "ანთ გრუპი"

ფინანსური ანგარიშგება

შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის დაეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა

(წელი)

ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	3 დან 8 წლამდე
კომპიუტერული ტექნიკა	3 დან 8 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 დან 10 წლამდე
შენობა-ნაგებობები	13 დან 51 წლამდე
მანქანა დანადგარები	5 დან 10 წლამდე

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას.

ძირითადი საშუალებების ცხრილი

ცხრილი #1

#	დასახელება	საბალანსო ღირებულება დარიცხული ცვეთის გათვალისწინებით 31.12.2021	საბალანსო ღირებულება დარიცხული ცვეთის გათვალისწინებით 31.12.2020
---	------------	--	--

ს/კ 448403479

დირექტორი:  /ზ. ანთაძე/

შპს ანთ გრუპის

1	მიწა	6595.49ლ	6595.49ლ
2	შენობა-ნაგებობა	473407.42ლ	498323.60ლ
3	მანქანა-დანადგარები	221344.78ლ	274024.73ლ
4	ოფისის აღჭურვილობა	13811.20ლ	14847.90ლ
5	ავეჯი და სხვა ინვენტარი	10981.76ლ	12070.95ლ
6	სატრანსპორტო საშუალებები	154423.57ლ	193029.47ლ
	სულ	844564.22ლ	998892.14ლ

13. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს: სასახურავე მასალებს, თუნუქს, სხვადასხვა შესაბამისი პროფილის სასახურავე აქსესუარებს.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

14. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

16. დაბეგვრა



საანგარიშო პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში (გადახდილი დივიდენდის დროს). კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, როგორცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), კომპანიის საქმიანობა იბეგრება დღგ-ს 18%-იანი განაკვეთით.

17. საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

მიღებული საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების“ მუხლში.

18. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

19. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულის ექვივალენტები

#	ოპერაციის შინაარსი	31.12.2021წ	31.12.2020წ	შენიშვნა
---	--------------------	-------------	-------------	----------

1	ნაღდი ფული ერ.ვალუტაში	106531,23ლ	132551,43ლ	
2	მიმდ. ანგარიშები ერ. ვალუტაში	20093,46ლ	12774.94ლ	
3	მიმდ.ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	2373,11ლ	45883.63ლ	
	სულ ფული და ფულის ექვივალენტები	128997,80ლ	191210.00ლ	

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

20. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	ოპერაციის შინაარსი	31.12.2021	31.12.2020
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	406519,85ლ	606409,53ლ

21. საკუთარი კაპიტალი

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

კაპიტალი

2021 წლების განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა შემდეგი დივიდენდები:

გადასახდელი დივიდენდები 31.12.2021წ

მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე - 363553ლარი

გასული პერიოდების გაუნაწილებელი მოგება-285299ლარი

გაცემული დივიდენდი (2021 წელს) -(55000)ლარი

ჯამური საკუთარი კაპიტალი 31.12.2021წლის მდგომარეობით -593852ლარი

22. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

#	ოპერაციის შინაარსი	31.12.2021	31.12.2020
1	ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	48140,94ლ	266935,63ლ

23. შემოსავალი

საანგარიშო პერიოდში საწარმოო შემოსავლები ნაწილდება დასაბეგრ, ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრ და დღგ-თი დაუბეგრავი განაკვეთის საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან. დღგ-თი დასაბეგრი მიწოდების წილი საერთო შემოსავლის 99%-ია.

საწარმოს ძირითადი მომხმარებლები საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები არიან.

#	ოპერაციის შინაარსი	31.12.2021	31.12.2020	შენიშვნა
1	შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	2 983 385ლ	5 032 580ლ	
2	არასოპერაციო შემოსავალი	214142ლ	-	
3	სულ შემოსავალი	3 197 527ლ	5 032 580ლ	

24. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები:**31.12.2021წ**

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2 238 122ლ)
ამორტიზაცია	(124380ლ)
პერსონალის ხარჯი	(151165ლ)
გადახდილი პროცენტი	(59681ლ)
იჯარის ხარჯი	(8716ლ)
ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(251910ლ)
სულ საერთო ხარჯი	(2 833 974ლ)

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები


ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე რაიმე მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებმაც ასახვა უნდა ჰპოვონ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

შპს ანთგრუპის დირექტორი:

ზანთაძე

ს/კ 448403479

დირექტორი: /ზ. ანთაძე/

შპს ანთ გრუპის



შპს "ანთ გრუპი"
30.09.2022

ფინანსური ანგარიშგება

ს/კ 448403479

დირექტორი: _____/ზ.ანთაძე/



შპს ანთ გრუპის